როგორ შეცვლის რადიკალურად საქართველოს ეკონომიკას "ბლოკჩეინი"

ვალერი საბაშვილი

ნინო ალუღიშვილი

სოფიკო მდინარაძე

ჯგუფი N1

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ გერაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2018 წელი

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვალერი საბაშვილი

ნინო ალუღიშვილი

სოფიკო მდინარაძე

18.06.2017

აბსტრაქტი

მსოფლიო მიისწრაფვის გლობალიზაციისაკენ, ეკონომიკა გაცილებით სწრაფად ვითარდება, ვიდრე ეს ბოლო 50 წლის განმავლობაში ხდებოდა, სწრაფ განვითარებას თან ახლავს რიგი სირთულეები, რომლებიც საჭიროებს ლოგიკურ გადალახვას. იმისათვის, რომ შევიქმნათ წარმოდგენა, თუ კონკრეტულად რაზე ვსაუბრობთ, გადავხედოთ თუ რა ეტაპები გაიარა დღევანდელმა ეკონომიკურმა ცივილიზაციამ. ჩვენი საზოგადოება ეწეოდა შემგროვლებლურ ეკონომიკას საწყის ეტაპზე, შემდეგ ადგილობრივად მეზობელ ტომებსა თუ თემებში ხდებოდა ბარტერულად საქონლის გაცვლა, ნელ-ნელა გაჩნდა ფულადი ერთეულები და ეკონომიკაში ფულმა დაიწყო ადამიანის გადაადგილების სიჩქარით მოძრაობა. ცივილიზაციის განვითარების შედეგად შეიქმნა ფინანსური ინსტიტუტები და სხვადასხვა შუამავალი ორგანიზაციები. ფულმა დაიწყო ბანკების სიჩქარით მოძრაობა, რამაც ეკონომიკა სწრაფად განავითარა. დღეს შესაძლებელია ფულის მოძრაობა დავაჩქაროთ ბლოკჩეინის მეჩვეობით, რაც მსოფლიო ეკონომიკას შეიყვანს ახალ ფაზაში. შედეგად, ეკონომიკის დიდი ნაწილი გახდება ციფრული და უფრო მოქნილი. მისი მეშვეობით შესაძლებელი იქნება იმ რიგი წინააღმდეგობების გამკლავება, რომლის წინაშეც დგას დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკა. ბლოკჩეინის სისტემის დანერგვით ბევრ სფეროში შეიძლება მოხდეს სერიოზული ძვრები წარმატებისაკენ.

საქართველოს ამ კუთხით დიდი პოტენციალი აქვს, რადგან ბლოკჩეინის სისტემას სჭირდება დიდი რაოდენობით ელექტრო ენერგია, შესაბამისად ელექტრო ენერგიის ღირებულება პირდაპირ მოქმედებს ბლოკჩეინით განხორციელებული ოპერაციების ღირებულებაზე. ბლოკჩეინის სისტემის დანერგვა ქვეყანაში, მისცემს ყველა სფეროს, რომ საკუთარი საქმიანობა გახადოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, რაც ნდობის ხარისხს მაქსიმალურად გაზრდის და გაამარტივებს ეკონომიკურ ურთიერთობებს. იდეალური ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად, მხარეებს აღარ დასჭირდებათ შუამავლების მომსახურება, რაც პირდაპირ იმოქმედებს პროდუქციის ფასზე და მას ყველასათვის ხელმისაწვდომს გახდის, დაზოგილი ფულადი და დროითი რესურსი არის დამატებითი პროდუქციის წარმოების სტიმული, რომ მხარეებმა გაზარდონ საკუთარი ეკონომიკა. გაზრდილი ეკონომიკა კი წინ გადადგმული ნაბიჯია ქვეყნის განვითარებისათვის. გამჭვირვალე ეკონომიკა და

ბიზნესის კეთებისთვის კარგი კლიმატი, ძალიან დიდი მოტივაციაა ინვესტორებისათვის, რათა საქართველოში დააბანდონ საკუთარი ფინანსები, რაც ქვეყანაში შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე.

ბლოკჩეინის სისტემა ჭკვიანი კონტრაქტების მეშვეობით, მოგვცემს საშუალებას მთლიანი პროცესები გავხადოთ ავტომატიზირებული, მესამე პირის ჩარევის გარეშე, რაც შეცდომებს მინიმუმამდე დაიყვას, ასევე შეამცირებს წარმოებული საქმის ღირებულებას. ბლოკჩეინის სისტემა მისი მრავალგზის შესაძლებლობებიდან გამომდინარე ქვეყანას მისცემს საშუალებას განავითაროს სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ეფექტიანობა, პირველი ნაბიჯები ამ კუთხით იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სამსახურმა უკვე გადადგა და მიწის რეგისტრაციის კუთხით სერიოზული დროითი რესურსის დაზოგვა შეძლო. საქართველო ეკო-სისტემით ძალიან ბევრ ტურისტს იზიდავს, მაგრამ ბოლო პეროდში ხეების ჭრამ მასიური სახე მიიღო და სერიოზულ პრობლემად იქცა. ბლოკჩეინის სისტემა ყველა სფეროს მისცემს საშუალებას ამოიღოს მოხმარებიდან ქაღალდები, ყველა საჭირო საბუთი იქნება ერთ სივრცეში განთავსებული, რაც უფრო ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის.

ბლოკჩეინის სისტემის დადებითი ზეგავლენის საჩვენებლად, ჩავატარეთ გამოკითხვა. თუ როგორ შეძლებენ სხვადასხვა ინსტიტუტები დამატებითი ხარჯების შემცირებას. გამოვიკვლიეთ კლინიკებში 2017 წელს საშუალოდ რა ღირებულების ქაღალდი მოიხმარეს. ასევე შევეცადეთ გაგვერკვია რა შეხედულებები და მოლოდინები ჰქონდა საზოგადოებას ბლოკჩეინის ტექნოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებით. ჩავატრეთ რაოდენობრივი კვლევა, საკვლევ ჯგუფად ავირჩიეთ ადამიანები, რომლებიც იცნობენ ბლოკჩეინ სისტემას და მეტ-ნაკლებად ჰქონდათ შეხება მასთან.

Abstract

The world aspires to globalization, economics develops faster than ever in the last 50 years. Rapid development is accompanied by a series of complexities, which require logical solution. In order to have an impression what namely a topic of conversation is, let's see, what stages the current economic civilization has passed. At the initial stage our society was engaged in collecting, afterwards barter exchange with neighbor tribes or local communities was used, then monetary units have gradually originated and the money has started to move at the rate of humans' displacement. As a result of civilization development the financial institutions and various middleman organizations were founded. The money has started to move at the velocity of banking that promoted rapid development of economy. Today it is possible to accelerate monetary movement by means of blockchain that leads world economics to the new phase. As a result, major part of economics will become digital and more flexible. All this will make possible the overcoming of series of obstacles, which face current world economics. Implementation of blockchain system may cause serious shift toward the success.

Georgia has a high potential in this context, since blockchain system need large quantities of electric energy, respectively the cost of electric energy has a direct impact on the cost of operations performed by the blockchain. Implementation of blockchain system in the country allows all industry fields to make their own activity maximally transparent that will increase to the maximum the degree of confidence and will simplify economic relations. In order to create ideal economic environment the parties will no more need intermediary services that will have direct impact on product value and will make it accessible to all, economy of financial and time resources is the extra incentive for production of additional products and further development of own economics by parties. Economic growth, in its turn, is a step forward for national development. Transparent economy and good climate for business is a good motivation for investors with the aim to invest their finances in Georgia, that will create additional workplaces in the country and will have positive impact on national economy.

Blockchain system by means of reasonable contracts will allow us to make automated the whole processes, without third party intervention that will reduce errors to the

minimum and will decrease the cost of conducted business. Blockchain system, proceeding from its diverse possibilities will allow the country to develop and make the operation of state institutions more effective and first steps in this regard are already made by the Public Registry Service of the Ministry of Justice, and economy of serious time resources was achieved in the context of land registration. Due to its ecosystem Georgia attracts many tourists, but tree felling on a mass scale in the recent periods became a serious problem. Blockchain system will allow all industry fields to withdraw papers from circulation, all necessary documents will be located in single space and will be more accessible to all.

We conducted a survey in order to demonstrate positive impact of blockchain system. We have studied, what was a total price of papers used in average by clinics in 2017. Also we have tried to figure out what are the views and expectations of the society regarding implementation of blockchain technology. We have conducted quantitative study and have selected as a test group those humans who are aware of blockchain system and dealing with it more or less.